ქართული

2018-2024
წლების ეროვნული
სასწავლო გეგმის
მისაღწევი
შედეგებისა და
ინდიკატორების
მიხედვით

5

განმავითარებელი შეფასების ტესტების რვეული

ნინო გორდელაძე
თინათინ ჯუხიანიძე

სულაკაურის
გამომცემლობა

მიმართულება: კითხვა

6 დიაგნოსტიკური ტესტი

ტესტი 1 5
ტესტი 2 9
ტესტი 3 14
ტესტი 4 19
ტესტი 5 26
ტესტი 6 34

ტესტების ამ ნაწილში დავალებები შეფასდება სხვადასხვა ქულით, შესასრულებელი ამოცანის სირთულის გათვალისწინებით. თითოეულ დავალებას მითითებული აქვს შესაფასებელი მაქსიმალური ქულა.

მასწავლებლის გვერდი

სტანდარტის შედეგი №1

მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

მოწმდება სამი დიაგნოსტიკური ტესტით (ტესტი 1, ტესტი 2, ტესტი 3)

შეფასების ინდიკატორები:

1. მოსწავლე გამოყოფს და ასახელებს ტექსტის მთავარ საკითხებს.
   ამოწმებს: ტესტი 1, კითხვა. 13; ტესტი 2, კ. 6; ტესტი 2 კ. 14; ტესტი 3, კ. 3; ტესტი 3, კ. 5; ტესტი 3, კ.15
2. გამოკვეთს არსებით ინფორმაციას ტექსტის ცალკეული მონაკვეთიდან.
   ამოწმებს: ტესტი 1, კ.7; ტესტი 2, კ. 3; ტესტი 2, კ.12; ტესტი 3, კ. 6
3. ამოიცნობს ნაწარმოების თემას/ქვეთემას.
   ამოწმებს: ტესტი 1, კ. 15; ტესტი 3, კ.6; ტესტი 3, კ.12
4. ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას.
   ამოწმებს: ტესტი 1 – ტექსტი ა) კ. 1 - 2; ტესტი 2, კ. 2; ტესტი 2, კ. 4; ტესტი 2, კ. 9; ტესტი 3, კ.1
5. განარჩევს მთავარსა და არამთავარ პერსონაჟებს.
   ამოწმებს: ტესტი 2, კ. 15; ტესტი 3, კ. 16
6. ახასიათებს პერსონაჟებს, როგორც ცხადად (ექსპლიციტურად) მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ისე შინაარსის გააზრების საფუძველზე. ამოწმებს:
   ამოწმებს: ტესტი 1, კ. 4; ტესტი 2, კ. 8; ტესტი 2, კ.10
7. განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებს/ ფაქტებს შორის ლოგიკურ კავშირებს.
   ამოწმებს: ტესტი 1, კ. 8; ტესტი 2, კ. 1; ტესტი 2, კ. 7; ტესტი 2, კ. 11; ტესტი 2, კ. 13; ტესტი 3, კ.10
8. განარჩევს ერთმანეთისგან ფაქტსა და ვარაუდს.
   ამოწმებს: ტესტი 1 – ტექსტი ა) კ. 3; ტესტი 1, კ. 10
9. აკვირდება ტექსტზე დართულ ილუსტრაციებს და მსჯელობს, რას გვეუბნება იგი...
   ამოწმებს: ტესტი 1, კ. 11-12. ტესტი 3, კ. 7
10. აკვირდება მწერლის ენას, ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს, (ეპითეტს, შედარებას... სალექსო რითმას.
    ამოწმებს: ტესტი 1 – ტექსტი ბ) კ. 5- 6; ტესტი 1, კ. 9 და 14. ტესტი 2, კ. 5; ტესტი 2, კ. 17; ტესტი 3, კ. 2; ტესტი 3, კ. 4; ტესტი 3, კ. 11, კ. 13-14
11. ამოიცნობს და განმარტავს ლიტერატურულ და ხალხურ ზღაპარს შორის მსგავსება-განსხვავებას.
    ამოწმებს: ტესტი 2, კ. 16
12. ამოიცნობს სხვადასხვა კულტურულ და სოციალურ გარემოს დამახასიათებელ ნიშნებს (ყოფით რეალობას, ტრადიციებს, სხვ.)
    ამოწმებს: ტესტი 1 – ტექსტი ბ) კითხვა 7

მოსწავლის სამუშაო

შედეგი №1 **ტესტი 1**

მოცემულია ორი ტექსტი – **ა** და **ბ**. წაიკითხე ისინი და უპასუხე შეკითხვებს.
პასუხის გასაცემად მიუბრუნდი ტექსტის სათანადო მონაკვეთს.

ა. გადაშენებულ ცხოველთა ნაშთები

(ნაწყვეტი)

დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე აღმოჩენილია დინოზავრების ნაშთები – ძვლები, გაქვავებული კვერცხები, ნაფეხურები... საქართველოში, ქუთაისის მახლობლად, სათაფლიაში მიკვლეულია სხვადასხვა ტიპის დინოზავრთა 200-მდე ნაფეხური. ეს ნაფეხურები დაახლოებით 120 მილიონი წლისაა. მეცნიერები დინოზავრებს მათი დღემდე მიღწეული ნაშთების მიხედვით შეისწავლიან. დადგენილია, რომ ისინი 65 მილიონი წლის წინ გადაშენდნენ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, შესაძლოა, მათი გადაშენება დედამიწაზე კლიმატური პირობების შეცვლამ, მკვეთრმა აცივებამ გამოიწვია.

მრავლად მოგვეპოვება დინოზავრთა ნაშთების აღმოჩენის საინტერესო ისტორიებიც – იქნება ეს მათი ნაფეხურის, იგივე ნატერფალის თუ კუდის დანარტყამი ადგილების აღმოჩენა...

უპასუხე:

1. კონკრეტულად რა მასალას გულისხმობს ავტორი, როდესაც ამბობს: „მეცნიერები მათი ნაშთების მიხედვით შეისწავლიან“? (ჩამოთვალე 4 მაგალითი)

ა. _____

ბ. _____

გ. _____

დ. _____

☐ /4

2. ჩამოთვალე ტექსტში მოცემული სამი ინფორმაცია სათაფლიას შესახებ:

ა. _____

ბ. _____

გ. _____

☐ /3

3. ამოიწერე ტექსტიდან ერთი უტყუარი ფაქტი და ერთი – თვალსაზრისი.

ვარაუდი: _____

_____

ფაქტი: _____

_____

/2

ბ. სათაფლია

(ნაწყვეტი გიორგი შატბერაშვილის ნაწარმოებიდან)

ნანატრი დილა გათენდა. ბავშვებმა დილაადრიან გაიღვიძეს და სწრაფად მოემზადნენ ლაშქრობისათვის. პაპა პეტრე უკვე დიდი ხანია ჰპირდებოდა მათ სათაფლიის საოცრებათა სანახავად წაყვანას და ახლა თავის დანაპირებს ასრულებდა.

პაპა პეტრე, ნიკო და სანდრო სათაფლიისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. ნახევარი საათის სიარულის შემდეგ მოგზაურებმა თეთრი ბილიკი აიარეს და მაღალ სერზე შეჩერდნენ. მათ თვალწინ წარმტაცი კოლხეთის ველი გადაიშალა. სამხრეთით გამოჩნდა ნაბდოსნებივით მდგარი აჭარისა და გურიის მთაგრეხილები, ხელმარცხნივ გოლიათივით გაწოლილიყო ლიხის მთა.

– აი, იმ ფერდობსაც ავივლით და სათაფლიაში ვიქნებით, – გაამხნევა პაპა პეტრემ ბავშვები. მალე ქვის მინდორს მიადგნენ. ეს უცნაური მინდორი ოდნავ დაფერდებული, ბუჩქნარით გარშემორტყმულ ადგილს წარმოადგენდა...

უპასუხე:

4. ამ ტექსტის მიხედვით, რა თვისებას ავლენს პაპა პეტრე?
პასუხი დაასაბუთე მისივე საქციელის დამოწმებით:

_____

_____

/2

5. ამოიწერე ტექსტიდან ეპითეტი, რომლითაც ავტორმა საქართველოს ერთ-ერთი გეოგრაფიული ადგილის – ველის სილამაზე აღწერა:

_____

/1

6. ამოიწერე ორი შედარება, რომელთაც ავტორი მთების აღსაწერად იყენებს:

ა. _____

ბ. _____

/2

7. წარმოიდგინე, რომ განმარტებითი ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობ. განმარტე სიტყვა – „ლაშქრობა“ (ამ ტექსტის შინაარსის მიხედვით):

ლაშქრობა – _____

_____

/1

8. გამოიყენე **ა** ტექსტის წაკითხვისას მიღებული ცოდნა და განმარტე, რა შეიძლება იგულისხმებოდეს **ბ** ტექსტში ნახსენებ ფრაზაში – „სათაფლიის საოცრებები“?

_____

_____

/1

უპასუხე შეკითხვებს ორივე – ა და ბ – ტექსტის მიხედვით:

9. ამ ორი ტექსტიდან რომლის შესახებ არის შესაძლებელი ითქვას, რომ ის მხატვრული ნაწარმოებია?

დაასაბუთე, რატომ არის შენი პასუხი სწორი:

_____

_____

_____

_____

/2

10. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა სწორი, მართებული? მონიშნე – ✓

- ☐ ჩვეულებრივ, საინფორმაციო ხასიათის ტექსტში გაცილებით უხვად გვხვდება ფაქტები, ვიდრე – მხატვრულში.
- ☐ საინფორმაციო ხასიათის ტექსტი ხშირად გვხვდება ენციკლოპედიაში.
- ☐ მხატვრულ ნაწარმოებში მოთხრობილი ამბები უთუოდ მოხდა სინამდვილეშიც.

/1

11. დააკვირდი ნახატს. შეესაბამება თუ არა ეს ნახატი ამათგან რომელიმე ტექსტს? შემოხაზე:

ა. შეესაბამება როგორც ა, ისე ბ ტექსტს.

ბ. მხოლოდ ბ ტექსტს შეესაბამება.

/1

12. განმარტე, კერძოდ რომელ მონაკვეთს აღწერს ეს ილუსტრაცია?

_____

_____

/1

13. ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს მიუწერე, რომელ ტექსტს შეესაბამება ის: მხოლოდ პირველს, მხოლოდ მეორეს თუ ორივეს?

ა. სათაფლია გამორჩეული ადგილია. _____

ბ. დიდი ხნის წინათ არსებული ზოგიერთი ცხოველი გადაშენდა. _____

გ. სათაფლიაში მოსახვედრად მგზავრს ფერდობის ავლა უწევს. _____

/3

14. შენ წაიკითხე ნაწყვეტები ტექსტებიდან:

☐ „გადაშენებულ ცხოველთა ნაშთები“.

☐ „სათაფლია“.

ამათგან რომლის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის მოთხრობაა? მონიშნე – ✓

/1

15. სათაური, როგორც წესი, ტექსტის მთავარ თემას ან პერსონაჟს უკავშირდება. აქ მოცემულია ორი სხვადასხვა ტექსტის მხოლოდ ნაწყვეტები. დაფიქრდი, რას შეურჩევდი სათაურებად ამ მონაკვეთებს? შეარჩიე ორსიტყვიანი სათაურები:

ტექსტი ა: _____

ტექსტი ბ: _____

/2 /27

მოსწავლის სამუშაო

შედეგი №1 **ტესტი 2**

მოცემულია ორი ტექსტი – ა) და ბ). წაიკითხე ისინი და უპასუხე შეკითხვებს. პასუხის გასაცემად მიუბრუნდი ტექსტის სათანადო მონაკვეთს.

ა. გაზაფხულის ზღაპარი

(ნაწყვეტი)

ძველად, სულ ძველად, დედამიწაზე მუდმივი ზამთარი იყო და ყველაფერი თოვლით იყო დაფარული. ღრუბლებიდან მთებამდე ყინულის უზარმაზარი ლოლუები ეკიდა. მინდვრებში მხოლოდ უფერული ყვავილები იზრდებოდნენ, უსიცოცხლონი იყვნენ და სურნელება არ გააჩნდათ. ჩიტებიც ცხოვრობდნენ მაშინ, მაგრამ ფრთები არ ჰქონდათ და მიწაზე ძლივს დადიოდნენ.

არავინ იცოდა, რა იყო გაზაფხული.

ულმობელ ზამთარს ერთი პატარა გოგონა ჰყავდა დატყვევებული. გოგონაც, სხვა ყვავილებივით, მიწიდან ამოსულიყო და დღის სინათლე რომ დაენახა, სიხარულისგან ენა ამოედგა. განრისხებულ ზამთარს მისი ხელები და ნაწნავები ერთ ვეებერთელა ყინულზე მიეყინა და არ უშვებდა.

სხვა ყვავილებისგან მოშორებულსა და მუდმივად ეულ გოგონას დანარჩენმა ყვავილებმა მარტო შეარქვეს.

თეთრ ყვავილებს მარტო ეცოდებოდათ, მაგრამ შიშისგან ხმას ვერ იღებდნენ – ჩვენც არ მიგვაყინოს ზამთარმაო; მხოლოდ ხანდახან რაიმე სანუგეშო სიტყვებს თუ გაატანდნენ ჩურჩულით ნიავს და მარტოს გულს უმაგრებდნენ.

ცაზე, შავი ღრუბლების გვერდით, იყო ერთი ცისფერი ღრუბელი. ეს ღრუბელი მარტოს ცრემლებიდან იყო გაჩენილი...

ედიშერ ყიფიანი

უპასუხე:

1. რატომ შეეფერება აქ აღწერილ ლოლუებს ეპითეტი „უზარმაზარი“?

_____

_____

☐ /1

2. რა არ ჰქონდა ყვავილებს მუდმივი ზამთრის დროს? დაასახელე ორი რამ:

ა. _____

ბ. _____

☐ /2

3. როგორ მოახერხა ზამთარმა გოგონას დატყვევება?

_____

_____

☐ /1

4. ჩამოთვლილთაგან რომელი სიტყვა არ გვხვდება ტექსტში? მონიშნე – ✓

- ☐ ჩიტები
- ☐ ნიავი
- ☐ ღრუბლები
- ☐ ყინული
- ☐ მინდვრები
- ☐ ცხოველები
- ☐ მთები

☐ /1

5. როგორ გესმის გამოთქმა – „გულს უმაგრებდნენ“? მონიშნე – ✓

- ☐ აშინებდნენ
- ☐ ამხნევებდნენ
- ☐ ამშვიდებდნენ
- ☐ ადარდიანებდნენ

☐ /1

6. შენ ზღაპრის ნაწყვეტი წაიკითხე. დაფიქრდი, წაკითხულ მონაკვეთს რომელი უფრო შეეფერება სათაურად ქვემოთ ჩამოთვლილიდან? მონიშნე – ✓

- ☐ უფრთო ჩიტები
- ☐ თეთრი ყვავილები
- ☐ ულმობელი ზამთარი
- ☐ ცისფერი ღრუბელი
- ☐ ყინულის ლოლუა

პასუხი დაასაბუთე:

_____

_____

_____

☐ /2

7. იპოვე ტექსტში და ამოიწერე მიზეზი, თუ რატომ შეარქვეს გოგონას თავისი სახელი.

_____

_____

☐ /1

8. ამ ზღაპრის რომელი პერსონაჟები ხასიათდებიან ერთმანეთის **საპირისპირო თვისებებით**? შემოხაზე:

- ☐ გოგონა და ყვავილები
- ☐ ზამთარი და ყვავილები
- ☐ ყინული და ლოლუები

განმარტე, რატომ ფიქრობ ასე:

_____

_____

☐ /2

ბ) მზის პირისნაბანი

(ნაწყვეტი)



იყო და არა იყო რა, იყო ერთი მზეთუნახავი ქალი. ობოლი დარჩენილიყო და ძიძა ზრდიდა. ქალმა ძიძას სთხოვა: გამიშვი შინიდან, ბედს მინდა ვეწიოო. ძიძამ არ დაუშალა, პირით აღმოსავლეთის მხარეს დააყენა და დაარიგა, ამ გზას გაჰყევიო.

საღამო რომ დადგა, ქალი უკვე ტრიალ მინდორზე იდგა. გაიხედ-გამოიხედა და პატარა კოშკი დაინახა. უცებ გაიღო კარი და იქიდან მშვენიერი ვაჟი გამოვიდა. ქალი ამასობაში ჩუმად შევიდა კოშკში და დაიმალა. გათენებამ მოაწია თუ არა, დაბრუნდა ვაჟი და უმალვე სარეცელზე დაწვა. გამოვიდა ქალი სამალავიდან, მიირბინა სარეცელთან და რას ხედავს, ვაჟი მკვდარია!

თურმე ეს ვაჟი უფლისწული ყოფილა. ნადირობისას მზეს მშვილდ-ისრით მეცხრე თვალი დაუშავა და მზემ ასე დასაჯა: დღისით მკვდარია, ღამით – ცოცხალი. ცხრა წელიწადია, რაც ამ სატანჯველშია და ადამიანი თვალით არ უნახავს.

შეიტყო თუ არა ქალმა უფლისწულისაგან ეს ამბავი, აევსო გული ტრფობით და სიბრალულით. შეჰფიცა სიყვარული ვაჟს და გადაწყვიტა, უთუოდ უნდა შევძლო მისი შველაო.

მიდის ქალი, თვეობით მიდის, წლობით მიდის, მზის ქვეყანას უნდა მიაღწიოს, მზეს უნდა გამოსთხოვოს ვაჟის მოსარჩენი წამალი!

როგორც იქნა, მივიდა მზის სასახლეში. მზე შინ არ იყო. იქ მზის დედა დაუხვდა. ისიც დედამიწის შვილი იყო. მზის დედას გაუკვირდა, აქ ჩემი შვილის შიშით ადამიანი არ მოსულა, შენ როგორ გაბედე მოსვლაო? შეეცოდა ქალი და შეჰპირდა, მე დაგეხმარებიო...

ხალხური

უპასუხე:

9. ქვეყნიერების რომელ მხარეს წავიდა ქალი ბედის საძებნელად?

_____

☐ /1

10. დაასახელე ორი გრძნობა, რომლებიც ქალს ვაჟთან შეხვედრისას გაუჩნდა:

ა. _____

ბ. _____

☐ /2

11. ზღაპრის მიხედვით, რა საერთო აქვთ ქალსა და მზის დედას?

_____

☐ /1

12. რატომ ჩავარდნილა უფლისწული სატანჯველში?

_____

_____

☐ /1

13. რა დაიმსახურა ქალმა თავისი გაბედულებით, უშიშარი საქციელით?

_____

_____

☐ /1

14. რომელი ანდაზა უფრო შეეფერება ამ ზღაპარს? მონიშნე – ✓

☐ ვინც მოითმენსო, ის მოიგებსო.
☐ ვინც ეძებს, ის პოულობსო.

განმარტე, რატომ ფიქრობ ასე:

_____

_____

☐ /2

15. ვინ არის ამ ზღაპრის მთავარი პერსონაჟი? მონიშნე – ✓

☐ **ძიძა** ☐ **უფლისწული**

☐ **მზეთუნახავი ქალი** ☐ **მზის დედა**

პასუხი დაასაბუთე:

_____

_____

☐ /2

შეკითხვები ორივე – ა და ბ – ტექსტებისათვის:

16. ორივე ნაწარმოები ზღაპარია: პირველი – ლიტერატურული, მეორე – ხალხური. ჩამოაყალიბე ორი განსხვავება, რომლებიც ერთმანეთისგან განარჩევს ხალხურსა და ლიტერატურულ ზღაპრებს (გამოიყენე ეს ნიმუშები).

ა. _____

_____

ბ. _____

_____

☐ /4

17. ხაზით შეაერთე ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებული სიტყვები და გამონათქვამები: (დააკვირდი ნიმუშს):

ეული	**მზის თვალები**
ცხრა	**ცისფერი ღრუბელი**
აღმოსავლეთი	**გოგონა, სახელად მარტო**
ცრემლები	**მზის ქვეყანა**

☐ /1 /26